საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

18 მარ 2025 წ.

KA000061637493425

№ **25/2209**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

[redacted] მიერ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის" შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

2024 წლის 30 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატს N95/25 განცხადებით მომართა [redacted] ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, [redacted] განმცხადებელი მიუთითებდა, რომ არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს [redacted] ქვემდებარე აქტი, რომლის [redacted] ხოლო კრედიტორია მოქალაქე [redacted] როგორც ადვოკატი [redacted] მიუთითებს, [redacted] სანოტარო საქმიანობიდან უფიქსირდება ფინანსური სარგებელი, თუმცა განზრახ თავს არიდებს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის დადგენილი ფინანსური ვალდებულების შესრულებას.

ფაქტობრივი გარემოებები

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ნოტარიუს [redacted] სასარგებლოდ დაეკისრა 8333 ლარის გადახდა.[1] აღნიშნულთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2020 წლის 04 ნოემბერს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, სადაც მოვალეა [redacted] ხოლო კრედიტორი - [redacted] [2]

განმცხადებლის მიერ დაფიქსირებული გარემოებების გადამოწმებისა და აღსრულების პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს.[3]

თბილისის სააღსრულებო ბიუროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:[4]

სააღსრულებო ბიუროს მიერ გატარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონით გათვალისწინებული რიგი სააღსრულებო მოქმედებები, კერძოდ: მოვალეს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა წინადადება

რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, სსიპ შემოსავლების სამსახურში და შინაგან საქმეთა სამინისტროში. მოძიების შედეგად დადგინდა, რომ მოვალეს საკუთრების უფლებით არ ერიცხება უძრავ-მოძრავი ქონება;

სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ელექტრონულად მიღებული პასუხით, მოვალეს დეკლარაციით დასაბეგრი შემოსავალი არ უფიქსირდება, ერიცხება საგადასახადო დავალიანება, 13385 ლარის ოდენობით (2025 წლის 28 იანვრის მდგომარეობით). ასევე, მოვალის მთელ ქონებაზე გავრცელებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა;

2020 წლის 27 ნოემბერს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2020 წლის 08 დეკემბრის პასუხით დგინდება, რომ [redacted] ირიცხება საქართველოს ნოტარიუსთა რეესტრში და წარმოადგენს მოქმედ ნოტარიუსს. აძის მემდგომ, მოვალეს, [redacted] 2020 წლის 18 დეკემბერს ჩაბარდა A20039873-010/003 შეტყობინება ხელფასის ჩამოჭრის შესახებ. **ამასთან, მოვალე შეტყობინებით გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესაძლო დაკისრების თაობაზე;**

ვინაიდან [redacted] მიერ არ მოხდა ვალდებულების შესრულება, თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა 2021 წლის 22 იანვარს მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, მოვალის [redacted] შემოსავლების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე. მიღებული პასუხის მედეგად იოკვეკა, რომ მოვალე [redacted] ირიცხება ნოტარიუსთა პალატაში მოქმედ ნოტარიუსად, ხოლო მისმა შემოსავალმა 2020 წლის 18 დეკემბრიდან 2021 წლის 22 იანვრამდე შეადგინა 3054 ლარი;

ასევე, ვინაიდან მოვალე [redacted] ხელს უშლიდა და თავს არიდებდა სააღსრულებო ფურცლის აღსრულებას, აღნიშნული საქმის მასალები აღსრულების ბიუროს შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.[5] შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხიდან ირკვევა, რომ მასალების შესწავლის შემდეგ, **ვინაიდან მოყვანილი ფაქტები არ შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, გამოძიება არ დაიწყო.[6]**

გამოძიების დაწყების მოთხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ასევე მიმართა [redacted] ინტერესების დამცველმა, რათა დაწყებულიყო გამოძიება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.[7] შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ შემთხვევაში განმარტა, რომ მითითებული გარემოებები არ განეკუთვნებოდა სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარე დანაშაულებს.[8]

სამართლებრივი დასაბუთება და საქმის ანალიზი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი დასჯადად აცხადებს ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ან მისი შესრულებისათვის ხელის მეშლას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი განსაზღვრავს დენადი დანაშაულის დეფინიციას: „1. დენადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. 2. დენადი დანაშაული დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან“.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანების - „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ დანართი განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვადასხვა დანაშაულისთვის გამოძიებაზე უფლებამოსილ საგამოძიებო დანაყოფს (სხვადასხვა სამინისტროს შემადგენლობაში მყოფს). ამავე დანართის 1-ლი პუნქტი ადგენს ძირითად პრინციპს, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ ბრძანებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე დანართის მე-7 პუნქტის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შესაბამისი მუხლი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი) არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ქვემდებარე დანაშაული, როდესაც ის თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობას ეხება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი განსაზღვრავს გამოძიების დაწყების ვალდებულებას, როდესაც არსებობს დანაშაულის შესახებ ინფორმაცია.

ამგვარად, გამოძიების დაწყების მიზნისთვის საკმარისია, რომ საგამოძიებო ორგანოს მიერ მიღებული ინფორმაცია დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს.

მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება, რომ ნოტარიუს [redacted] მიმართ არსებობს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მას დაევალა [redacted] მიმართ 8333 ლარის ანაზღაურება. აღნიშნულზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემულია აღსრულების ფურცელი, რომლის საფუძველზეც დაიწყო სააღსრულებო წარმოება.

რეგისტრაცია.

[redacted] ადვოკატი მიუთითებდა, რომ მოვალეს დღემდე არ შეუწყვეტია სანოტარო საქმიანობა და ასრულებს სხვადასხვა სანოტარო მოქმედებას, რომლისთვისაც ანაზღაურებას ნაღდი ანგარიშსწორების სახით იღებს. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა თბილისის აღსრულების ბიუროს კერძოდ, მისთვის ნოტარიუსთა პალატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, [redacted] ირიცხება პალატაში მოქმედ ნოტარიუსად, ხოლო მისმა შემოსავალმა 2020 წლის 18 დეკემბრიდან 2021 წლის 22 იანვრამდე პერიოდში 3054 ლარი შეადგინა. **ამდენად, მხოლოდ ერთ თვეში სანოტარო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 3000 ლარს გადააჭარბა, თუმცა მიუხედავად ამისა, აღნიშნულის თაობაზე მან ინფორმაცია არ მიაწოდა სააღსრულებო ბიუროს, რომელმაც თავის მხრივ, იგი ჯერ კიდევ 2020 წელს გააფრთხილა ვალდებულებისგან თავის არიდების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.**

მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო წარმოადგენს იმ სუბიექტს, რომელიც უზრუნველყოფს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კონტროლს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სააღსრულებო წარმოებით გათვალისწინებული ზომა მიიღო ბიურომ, შეუძლებელი გახდა მოვალისგან თანხის ამოღება, ვინაიდან მას არ უფიქსირდებოდა უძრავ-მოძრავი ქონება, აგრეთვე ჩარიცხვები საბანკო ანგარიშებზე. თუმცა, მას შემდგომ, რაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, მიიღო ინფორმაცია, რომ მოვალე, [redacted] კვლავ აქტიურ სტატუსს ინარჩუნებდა როგორც ნოტარიუსი და ნოტარიუსთა პალატიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, 1 თვეში, პროფესიული საქმიანობით 3054 ლარი გამოიმუშავა, მან მიმართა საგამოძიებო ორგანოს, ვინაიდან მიიჩნია, რომ სახეზე იყო სააღსრულებო პროცესის ხელშეშლა და სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა. **ამდენად, ამ სფეროში სპეციალიზებულმა სუბიექტმა, რომლის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა, მიიჩნია, რომ სახეზე იყო დანაშაულის ნიშნები და საგამოძიებო უწყებას რეაგირებისთვის მიმართა.**

გასათვალისწინებელია, რომ [redacted] მოქმედი ნოტარიუსია და მის მიერ შესრულებული ყველა სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნოტარიუსთა პალატის მეშვეობით. ამასთან, ვინაიდან ყველა სანოტარო აქტისთვის დადგენილია კონკრეტული ტარიფები, გამოთვლადია ის ფინანსური სარგებელი, რაც მან ნაღდი ანგარიშსწორების სახით მიიღო და რომლის თაობაზეც ინფორმაცია არ მიაწოდა აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2020 წლიდან დღემდე.

ფაქტების ერთობლიობა, რომელიც საკმარისია გამოძიების დასაწყებად:

- **[redacted] მიმართ არსებობს სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილება;**
- **2020 წლიდან მის მიმართ მიმდინარეობს იძულებითი აღსრულების პროცედურები;**
- **[redacted] 2020 წლიდან დღემდე აქვს ნოტარიუსის აქტიური სტატუსი და საქმიანობს ამ სფეროში;**
- **მას შემდგომ, რაც დადგინდა მისი, როგორც ნოტარიუსის აქტიური სტატუსი, მას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2020 წლის 18 დეკემბერს ჩაბარდა A20039873-010/003 შეტყობინება ხელფასის ჩამოჭრის შესახებ;**
- **იმის მიუხედავად, რომ იგი გაფრთხილებულ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შესაძლო პასუხისმგებლობაზე, იმავე თვეში მან ბიუროს არ მიაწოდა ინფორმაცია სანოტარო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის შესახებ (2020 წლის 18 დეკემბრიდან 2021 წლის 22 იანვრამდე პერიოდში (1 თვეში) მან გამოიმუშავა 3054 ლარი).**

რაც შეეხება საგამოძიებო ქვემდებარეობას, საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანების - „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ დანართის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ ბრძანებით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნული ბრძანების თანახმად, კი სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შესაბამისი მუხლი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი) არ არის რომელიმე სხვა საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარე დანაშაული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობას ეხება (ამავე ბრძანების დანართის მე-7 პუნქტი). ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ დგას საკითხი თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, ზემოთ დაფიქსირებული გარემოებები, რომელიც უკავშირდება ნოტარიუსის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, განეკუთვნება შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარეობას.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სახეზეა სავარაუდო დენადი დანაშაული, ვინაიდან მისი ჩადენა დაიწყო უმოქმედობით - კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუსრულებლობით, რაც ვლინდება [redacted] მიერ სანოტარო საქმიანობიდან მიღებული ფინანსური სარგებლით, რომლის შესახებაც ინფორმაცია არ მიაწოდა აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

დასკვნა

გამოძიება ნოტარიუს [redacted] მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუსრულებლობას.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 04.11.2020 წელს გაცემული N2/31568-16 სააღსრულებო ფურცელი.

[2] იქვე.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 23 იანვრის N25/627 წერილი.

[4] თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2025 წლის 31 იანვრის N5727 წერილი.

[5] იქვე.

[6] შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს 2021 წლის 29 ივლისის MIA22101983247 წერილი.

[7] 2024 წლის 19 აპრილის № CA00412405489744 (სამინისტროში რეგისტრაციის ნომრით N 1188936), № CA00412405472635 (სამინისტროში რეგისტრაციის ნომრით N1269116) და 2024 წლის 08 აგვისტოს № CA00412410618027 (სამინისტროში რეგისტრაციის ნომრით N2438579) განცხადებები.

[8] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 01 ოქტომბრის MIA 9 24 03004542 წერილი.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი